FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
Human Rights Hub

გელა მეგრელიძის ისტორია

გერმანიის მოქალაქე გელა მეგრელიძე ფოტოგრაფი და პიანისტია. მას წვრილმანი ხულიგნობა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ედება ბრალად. გელა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2024 წლის 1 დეკემბერს გამართულ აქციაზე, 00:30 საათზე დააკავეს, პარლამენტის მთავარი შესასვლელის კიბეებზე. დაკავებისას, გელა ცდილობდა აქციის ერთ-ერთი მონაწილის დახმარებას, რომელსაც სპეცრაზმელები ძალადობის გამოყენებით აკავებდნენ.
სწორედ ამ დროს, მას გდდ-ს თანამშრომელმა ზურგიდან თავის არეში ჩაარტყა, რის შემდეგაც გელა ძირს დაეცა, ამ დროს კი ის გდდ-ს ორმა თანამშრომელმა ძალის გამოყენებით დააკავა. დაკავებისთანავე დაუწყეს ცემა და აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. თავდახრილ მდგომარეობაში გაატარეს ე.წ "ცოცხალ კორდონში", სადაც ყველა მხრიდან ფიზიკურად უსწორდებოდნენ. გელას ძირითადად ურტყამდნენ თავში, სახეში, ნეკნებსა და ფეხებში. ცემის შედეგად დაკავებულს გაუხეთქეს ტუჩი, თავზე აღენიშნებოდა მრავლობითი ჭრილობები, ყბა ჰქონდა დასიებული და ნეკნი -დაჟეჟილი. ცემა გრძელდებოდა დაახლოებით 6-7 წუთის განმავლობაში. ბოლოს კი, სასტიკად ნაცემი გადასცეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს და გადაიყვანეს პოლიციის დეპარტამენტში. თუმცა, როგორც კი აღმოაჩინეს, რომ გელა გერმანიის მოქალაქე იყო, ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს, იმ პირობით, რომ სასამართლოში გამოცხადდებოდა.

გელას მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების საფუძველზე. სასამართლოში მისი საქმე განიხილა მოსამართლე ლელა ცაგარეიშვილმა. სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხნენ ოქმის შემდგენი პოლიციელები, რომლებიც რეალურად არც შესწრებიან მის დაკავებას და არც თავად დაუკავებიათ. მოწმის სახით სასამართლო პროცესში მონაწილე პოლიციელები თავდაპირველად აცხადებდნენ, რომ მათ დააკავეს გელა მეგრელიძე. ხოლო, დამაზუსტებელი შეკითხვების დასმის შემდეგ განმარტეს, რომ მეგრელიძე გდდ-ს წარმომადგენლებმა დააკავეს და შემდეგ გადასცეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს.

მოწმედ წარდგენილ პოლიციელებს სხდომაზე დაცვის მხარემ დაუსვა კითხვები, რაზეც მათ ვერ გასცეს პასუხი და შაბლონური ტექსტებით დაიწყეს ამბის მოყოლა. სამწუხაროდ, მოსამართლე ლელა ცაგარეიშვილი სრულად დაეყრდნო პოლიციელთა ჩვენებებს, გელა მეგრელიძე ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და დააჯარიმა 2,000 ლარით.
გელა მეგრელიძის დაკავების პროცესში, აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი, კერძოდ - დაკავების მომენტში მას თან ჰქონდა მობილური ტელეფონი, ფოტოაპარატი, ფოტოაპარატის ლინზები და სატენები. ფიზიკური ძალადობისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემდეგ, გდდ-ს თანამშრომელმა გელა მეგრელიძე მიიყვანა ე.წ. „დაკავების ავტომობილთან“, ხელში დააჭერინა მისივე ნივთები და საკუთარი ტელეფონით გადაუღო ფოტო. შემდეგ წაართვა მობილური ტელეფონი, სატენები, ფოტოაპარატი, ფოტოაპარატის ლინზები და დაუბრუნა საბუთები. მხოლოდ ამის შემდეგ გადასცა გდდ-ს წარმომადგენელმა გელა მეგრელიძე საპატრულო პოლიციას.
მოგვიანებით, ლოკაციის განმსაზღვრელი აპლიკაციის მეშვეობით დაადგინეს გელას ტელეფონის ადგილმდებარეობა. ტელეფონი ქალაქ გორის ერთ-ერთ ლომბარდში აღმოჩნდა. აღნიშნულ ლომბარდში ჟურნალისტები მივიდნენ, რასაც ლომბარდის მეპატრონესთან დაპირისპირება მოჰყვა.

გელა მეგრელიძემ მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, დაკავების დროს პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტზე. მას დაუკავშირდნენ საგამოძიებო სამსახურიდან და სთხოვეს წარედგინა ის ფოტოსურათები, რომელშიც აღბეჭდილია დაზარალებულის დაზიანებები საპატრულო პოლიციის განყოფილებიდან გამოსვლის შემდეგ. გელამ წარადგინა აღნიშნული ფოტოსურათები და მისცა ჩვენება.
სამწუხაროდ, დღეის მონაცემებით, გელა მეგრელიძისთვის დაზარალებულის სტატუსი არ მიუნიჭებიათ.